



# შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტი

„დამტკიცებულია“  
აკადემიურ საბჭოს სხდომაზე  
რექტორი ანზორ მარაშენიძე

## სასწავლო პროცესის მარეგულირებელი

წესი

2019 წ.

## 1. ზოგადი დებულებები

1.1. შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში - სასწავლო უნივერსიტეტი) სასწავლო პროცესს წარმართავს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისა“ (შემდგომში - წესი) და საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.

1.2. წინამდებარე წესი განსაზღვრავს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესებს, სტუდენტის სწავლის შეფასების სისტემას, საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და მასში ცვლილების შეტანის წესებს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებს, ინფორმაციას სწავლებისა და სწავლის ფორმებისა და მეთოდების შესახებ.

1.3. სასწავლო უნივერსიტეტში სწავლების ენა არის ქართული. დასაშვებია უცხოურ ენაზე საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული კომპონენტის შეთავაზება.

## მუხლი 2. სტუდენტის სტატუსის მოპოვება საბაკალავრო/ერთსაფეხურიან პროგრამებზე

2.1. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამით ან ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის უფლება აქვს აბიტურიენტს, სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს, რომელიც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული ქულების კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის შესაბამის პროგრამაზე.

2.2. დაწესებულებაში სტუდენტის სტატუსის მოპოვება უმაღლესი აკადემიური განათლების პირველ (საბაკალავრო) საფეხურზე და ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამებზე ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების, მობილობის და ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე საქართველოს კანონმდებლობითა და ამ წესის შესაბამისად.

2.3. აბიტურიენტების ხელშეწყობისა და სტუდენტების მობილობის მიზნით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში სასწავლო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლება დასაშვებია:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;

ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ არანაკლებ 75 დღისა ერთ-ერთი სემესტრის განმავლობაში და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

2.4. სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ საბოლოო შედეგების გამოქვეყნების შემდეგ, აბიტურიენტმა უნდა მიმართოს სასწავლო უნივერსიტეტს რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადაში.

2.5. რეგისტრაციის ვადა და წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა განისაზღვრება სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით. აბიტურიენტთა რეგისტრაციის ვადები უნდა განთავსდეს დაწესებულების ოფიციალურ ვებგვერდზე.

2.6. აბიტურიენტის სასწავლო უნივერსიტეტში ჩარიცხვა შეიძლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტისა და სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირის მიერ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ (ვაჟების შემთხვევაში).

2.7. რეგისტრაციისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე რექტორი გამოსცემს ბრძანებას დაწესებულებაში აბიტურიენტთა ჩარიცხვისა და სტუდენტის სტატუსის მოპოვების შესახებ და დებს მათთან საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულებას. რექტორის სამართლებრივი აქტი გამოიცემა არა უგვიანეს პირველი ოქტომბრისა და გამოცემიდან 15 დღის ვადაში იგზავნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში (შემდგომში- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო).

2.8. სასწავლო უნივერსიტეტში ჩარიცხულ სტუდენტს მოეთხოვება შემდეგი საბუთების წარმოდგენა:

- სწავლების საფასურის 25% გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (გრანტის არსებობის შემთხვევაში, სტუდენტი იხდის სასწავლო უნივერსიტეტში დადგენილ სწავლის საფასურსა და გრანტის ოდენობას შორის სხვაობას);
- სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (ატესტატი);
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ორი ფოტოსურათი ზომით 3X4;
- ვაჟების შემთხვევაში სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი.

2.9. აბიტურიენტი, რომელიც არ მიმართავს დაწესებულებას რეგისტრაციისთვის გათვალისწინებულ ვადებში უფლებამოსილია, მიმართოს დაწესებულებას ჩარიცხვის მოთხოვნით რექტორის ერთიანი აქტის გამოცემიდან მომდევნო წლის ივნისამდე. სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი ვალდებულია დააკმაყოფილოს პირის მოთხოვნა და გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს პირის დაშვება სასწავლო პროცესში და სწავლის შედეგების მიღწევა კანონმდებლობით დადგენილი წესით. რექტორის აქტი იგზავნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში, გამოცემიდან 15 დღის ვადაში. ამ გზით პირის ჩარიცხვა უმაღლეს

საგანმანათლებლო დაწესებულებაში გამორიცხავს მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტის გამოყენების შესაძლებლობას.

2.10. უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამაზე ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის შემდეგ, რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში სტუდენტი ვალდებულია გაიაროს აკადემიური რეგისტრაცია - აირჩიოს პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები.

**მუხლი 3. სტუდენტის სტატუსის მოპოვება სამაგისტრო პროგრამებზე და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა.**

3.1. სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე (მაგისტრატურა) სტუდენტის სტატუსის მოპოვება ხორციელდება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების ან მობილობის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

3.2. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად დაწესებულება უფლებამოსილია დაადგინოს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა/გამოცდები სპეციალობაში და უცხო ენაში. შიდა საუნივერსიტეტო მისაღები გამოცდა/გამოცდები დგინდება სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით და რექტორის მიერ მოწვეული სამართლებრივი აქტის შესაბამისად;

3.3. ინგლისური ენის ფლობის კომპეტენციის დონის დადასტურება შესაძლებელია ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდების (IELTS) ან ტოიფელის (TOEFL) შესაბამისი დონის დამადასტურებელი სერტიფიკატით. შესაბამისი ენობრივი დონის ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარმოდგენის შემთხვევაში, მაგისტრანტობის კანდიდატი თავისუფლდება ინგლისურ ენაში საუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარების ვალდებულებისაგან.

3.4. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოპოვება საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე შესაძლებელია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემდეგ შემთხვევებში:

ა) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს შესაბამისი უმაღლესი განათლების აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში;

გ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ არანაკლებ 75 დღისა ერთ-ერთი სემესტრის განმავლობაში და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის

კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში;

დ) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საბაკალავრო ან ერთსაფეხურიან პროგრამაზე ჩაირიცხნენ ამ წესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე;

ე) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომლებმაც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვეს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე და აქვთ საქართველოში გაცემული სახელმწიფოს მიერ აღიარებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

ვ) სასწავლო უნივერსიტეტი ვალდებულია ამ წესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტითა და მე-3 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული პირების პროგრამის ენის ცოდნის დადგენის მიზნით ჩაატაროს გასაუბრება და უზრუნველყოს აღნიშნული გასაუბრების ვიდეოჩანაწერის სამინისტროსათვის ხელმისაწვდომობა.

ზ) ამ წესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტითა და მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირები სასწავლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლებას მოიპოვებენ სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის

(შემდგომში – გამოცდების ცენტრი) მიერ ორგანიზებული ზოგადი უნარების გამოცდის (შემდგომში – გამოცდა) წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში.

3.5. დაწესებულებაში ჩარიცხვა ხდება სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე.

3.6 მაგისტრანტობის კანდიდატთა დაწესებულებაში ჩარიცხვა შეიძლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის – დიპლომის და კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირის მიერ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ.

3.7 დაწესებულებაში მაგისტრანტობის კანდიდატის ჩარიცხვა ფორმდება შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და მაგისტრანტობის კანდიდატს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

3.8 იმ პირების თაობაზე, რომლებთანაც გაფორმდა ამ მუხლის 3.7 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულებები უნივერსიტეტის მიერ დგება რექტორის ერთიანი აქტი. რექტორის ერთიან აქტში მიეთითება მაგისტრანტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საერთო სამაგისტრო გამოცდის საიდენტიფიკაციო კოდი, საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზეც მაგისტრანტმა მოიპოვა სწავლის გაგრძელების უფლება. სასწავლო უნივერსიტეტი სამაგისტრო გამოცდის წლის 5 ოქტომბრამდე სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში ასახავს ინფორმაციას ჩარიცხული პირების შესახებ.

3.9 ამ წესის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ერთიანი აქტის გამოცემის შემდეგ პირი ხდება უნივერსიტეტის სტუდენტი – მაგისტრანტი.

#### **მუხლი 4. საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულება**

- 4.1 სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემთხვევაში, სტუდენტსა და სასწავლო უნივერსიტეტს შორის ფორმდება საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულება;
- 4.2 საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულება შევსებული და ხელმოწერილი უნდა იყოს უშუალოდ სტუდენტის მიერ;
- 4.3 საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულება ფორმდება ორ ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი რჩება სტუდენტთან, ხოლო მეორე ინახება სასწავლო უნივერსიტეტში, სტუდენტის პირად საქმეში;

#### **მუხლი 5. სტუდენტის სტატუსის შეჩერება**

5.1. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

- ა) პირადი განცხადება;
- ბ) ავადმყოფობა;
- გ) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა, გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა;
- დ) ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;
- ე) სტუდენტსა და დაწესებულებას შორის საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფინანსური ვალდებულებების (სწავლის საფასურის გადაუხდელობა) დარღვევა;
- ვ) ადმინისტრაციული ან/და აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელია;

5.2 სტუდენტის სტატუსის შეჩერებად განიხილება სასწავლო უნივერსიტეტისა და სტუდენტის უფლებამოვალეობების შესრულებისგან განთავისუფლება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.

5.3. სტუდენტის სტატუსის შეჩერების პერიოდში სტუდენტსა და დაწესებულებას შორის საგანმანათლებლო მომსახურების თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედება შეჩერებულია;

5.3. დროის იმ პერიოდში, როდესაც სტუდენტს შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი, დაწესებულება და სტუდენტი თავისუფლდებიან ურთიერთსანაცვლო უფლება-მოვალეობების შესრულებისაგან, აღნიშნული გარემოება არ ათავისუფლებს მხარეებს სტატუსის შეჩერებამდე წარმოშობილი და შეუსრულებელი ურთიერთვალდებულებების შესრულებისგან.

5.4. სტუდენტის სტატუსის აღდგენა ხდება იმ გარემოების გასვლისას, რამაც გამოიწვია სტუდენტის სტატუსის შეჩერება.

5.5 პირი, რომელსაც შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი, არ განიხილება დაწესებულების სტუდენტების საერთო რაოდენობის ფარგლებში.

#### **მუხლი 6. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა**

6.1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

- ა) პირადი განცხადება;
- ბ) საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება მოცემულ საფეხურზე;

- გ) სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5-წლიანი ვადის გასვლა;
- დ) დაწესებულების ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის კოდექსით გათვალისწინებული სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელება, რის საფუძველზეც ჩატარდა შესაბამისი წარმოება სტუდენტის სტატუსის შესაწყვეტად ეთიკის კოდექსის შესაბამისად;
- ე) გარდაცვალება ან გარდაცვლილად აღიარება სასამართლოს მიერ;
- ვ) სხვა დაწესებულებაში მობილობის წესით ჩარიცხვა;
- ზ) მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძველები.

6.2. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ რექტორის აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან თორმეტი თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.3. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გამოიცემა რექტორის ბრძანება, რაც იწვევს სტუდენტთან დადებული საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების მოშლას. აღნიშნული გარემოება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების მოშლამდე წარმოშობილი და შეუსრულებელი ურთიერთვალდებულებების შესრულებისგან.

## **მუხლი 7. სტუდენტის სტატუსის აღდგენა**

7.1. სტატუსშეჩერებული სტუდენტი უფლებამოსილია საკუთარი განცხადებისა და სტატუსის შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის შემთხვევაში, აღიდგინოს სტუდენტის სტატუსი ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის პერიოდში.

## **მუხლი 8. მობილობა**

8.1. სასწავლო უნივერსიტეტში მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/6 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის სამართლებრივი აქტებით დადგენილ ვადებში და ამ წესის შესაბამისად;

8.2. სტუდენტთა მობილობის პროცესის ადმინისტრირება ხდება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ელექტრონული პორტალის მეშვეობით, რომელზეც აისახება საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მობილობისათვის რეგისტრირებული ადგილები ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების ან საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით;

8.3. სასწავლო უნივერსიტეტი უფლებამოსილია დაარეგისტრიროს მობილობის ადგილები, საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ელექტრონულ პორტალზე;

8.4. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში.

8.5. თუ დაწესებულების ძირითად საგანმანათლებლო ერთეულზე ან საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის მსურველთა განაცხადების რაოდენობა რეგისტრირებული ადგილების რაოდენობაზე მეტია, დაწესებულებაში ჩარიცხვის უფლებას მიიღებენ დაწესებულების მიერ რეგისტრირებული ადგილების შესაბამისი რაოდენობის სტუდენტები, რომელთა ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგები აღემატება მობილობის სხვა მსურველთა შესაბამის შედეგებს.

8.6. სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი ბრძანებით ადგენს მობილობის მსურველთა მიერ დოკუმენტაციის დაწესებულებაში წარმოდგენის ვადას. მობილობის მსურველი, რომელიც დადგენილ ვადაში არ მიმართავს განაცხადებით დაწესებულებას ჩარიცხვის შესახებ, კარგავს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8.7. სასწავლო უნივერსიტეტი, როგორც მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს წარუდგენს სტუდენტის ჩარიცხვის სამართლებრივი აქტის (ბრძანების) პროექტს, მასთან დაკავშირებული ინფორმაციის ელექტრონულ ვერსიას ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის შესაბამისად, რომლის საფუძველზეც ცენტრი ამოწმებს ბრძანების პროექტში ასახული სტუდენტის მონაცემების შესაბამისობას საკანონმდებლო მოთხოვნებთან, საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრისა და ელექტრონული პორტალის მონაცემებთან და გასცემს დასკვნას პროექტში მითითებული სტუდენტების მობილობით ჩარიცხვის შესაძლებლობის შესახებ. ბრძანების პროექტზე ცენტრის დადებითი დასკვნის მიღების შემდეგ გამოიცემა რექტორის ბრძანება სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის შესახებ 1 ოქტომბრამდე შემოდგომის ან 1 მარტამდე გაზაფხულის სემესტრში და ბრძანება გამოცემიდან 2 სამუშაო დღის ვადაში აისახება საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში, ხოლო 3 სამუშაო დღის ვადაში იგზავნება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

8.8. რეესტრის მონაცემების საფუძველზე, იმ დაწესებულების მიერ, საიდანაც გადადის სტუდენტი, გამოიცემა ბრძანება სხვა დაწესებულებაში ჩარიცხული პირის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ, ხოლო სტუდენტის მიმართვიდან 1 კვირის ვადაში გაიცემა ბრძანებიდან ამონაწერი, ასევე საგანმანათლებლო დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც იგი ამ დაწესებულებაში ჩაირიცხა, და სტუდენტის პირად საქმეში არსებული სხვა დოკუმენტაცია. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანება და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის ელექტრონული ვერსია ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის შესაბამისად ცენტრს წარედგინება 7 ოქტომბრამდე შემოდგომის ან 7 მარტამდე გაზაფხულის სემესტრში.

## **მუხლი 9. შიდა მობილობა**

9.1. სტუდენტს უფლება აქვს სწავლების პერიოდში შიდა მობილობით შეიცვალოს საგანმანათლებლო პროგრამა ერთი საფეხურის ფარგლებში;



- 9.2. სასწავლო უნივერსიტეტში შიდა მობილობა ცხადდება რექტორის ბრძანებით, შიდა მობილობის პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს თავად დანესებულება;
- 9.3. შიდა მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში. შიდა მობილობაში მონაწილეობის უფლება სტუდენტს ეძლევა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, შიდა მობილობაში მონაწილეობის უფლება აქვს სტუდენტს იმ შემთხვევაშიც, როცა მას შიდა მობილობის გამოცხადების მომენტისათვის შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი;
- 9.4. სასწავლო უნივერსიტეტში შიდა მობილობა ცხადდება წელიწადში ორჯერ, სემესტრის დაწყებამდე. შიდა მობილობის პროცესის დასრულების შემდეგ დანესებულება ვალდებულია შიდა მობილობის შედეგები ორი კვირის ვადაში მიაწოდოს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს;
- 9.5. შიდა მობილობით სტუდენტის გადაყვანა სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე ფორმდება რექტორის ბრძანებით;
- 9.6. შიდა მობილობის პროცესში სტუდენტის კრედიტების აღიარება ხორციელდება ამ წესში განწერილი განათლების აღიარების/საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის წესების შესაბამისად.

#### **მუხლი 10. საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესი**

- 10.1. სასწავლო უნივერსიტეტის უმაღლესი განათლების ფაკულტეტი ადგენს მის მიერ შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული სწავლის შედეგების თავსებადობას და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ;
- 10.2. აღიარებას ექვემდებარება იმ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, კრედიტების აღიარება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;
- 10.3. შინაარსობრივი შესწავლის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს სტუდენტის მიერ გავლილი და მიმღები დანესებულების საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შესაბამისობა:
- ა) მათ სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად.
- ბ) თუ ერთი და იგივე სასწავლო კურსისთვის მიმღები ფაკულტეტის/სკოლის მიერ რეალიზებული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ECTS კრედიტი განსხვავებულია, აღიარება ხდება მიმღები ფაკულტეტის/სკოლის პროგრამის ფარგლებში სასწავლო კურსების შინაარსობრივი თავსებადობის გათვალისწინებით.
- 10.4. დასაშვებია იმ სასწავლო კურსების თავისუფალი კრედიტების ფარგლებში აღიარება, რომელიც არ არის გათვალისწინებული მიმღები დანესებულების საგანმანათლებლო პროგრამით.

10.5 თუ მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეთავაზებული საგანმანათლებლო პროგრამა სავალდებულო კომპონენტად ითვალისწინებს მეორე უცხო ენას, სტუდენტის განცხადების საფუძველზე შესაძლებელია შიდა გამოცდით განისაზღვროს ენის ცოდნის დონე, რის საფუძველზეც სტუდენტი სწავლას გააგრძელებს შესაბამისი დონიდან. განსხვავებული კრედიტები უფლებამოსილია დააგროვოს თავისუფალი კრედიტების ფარგლებში.

10.6 იმ შემთხვევაში, თუ მობილობის მსურველმა პირმა დაწესებულებას წარუდგინა ისეთი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც არ არის შესრულებული ECTS/ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის/ შესაბამისად, დაწესებულების შესაბამისი დროებითი კომისია უფლებამოსილია მობილობის მსურველ პირს მოსთხოვოს ECTS/ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის/ შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელახალი წარდგენა ან კანონმდებლობით დადგენილი წესით თვითონ გაიანგარიშოს სტუდენტის დატვირთვა კრედიტებით და მოახდინოს გადაყვანა შემდეგი წესების დაცვით:

ა) თუ საგანმანათლებლო პროგრამა შესრულებულია ასტრონომიულ საათებში, ცალკეული სასწავლო კურსის საერთო რაოდენობა მრავლდება 3-ზე და იყოფა ერთი კრედიტის ექვივალენტზე საათებში, ანუ 25-ზე. მაგ.: თუ ასტრონომიულ საათებში საგნის დატვირთვა შეადგენს 60 საათს, ის მრავლდება 3-ზე და იყოფა 25-ზე:  $60 \times 3 / 25 = 7,2$ , დამრგვალებით შეესაბამება 7 კრედიტს;

ბ) თუ სტუდენტის მიერ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული შეფასება შეესაბამება 5-ბალიან სისტემას, უნდა მოხდეს მისი გადაყვანა 100 - ქულიან შეფასების სისტემაზე შემდეგი პრინციპით:

შეფასება 5 /ფრიადი/ პირობითად ჩაითვალოს – A 91 (ფრიადი) შეფასებად; შეფასება

4 /კარგი/ პირობითად ჩაითვალოს მინიმალურ – C 71 (კარგი) შეფასებად;

შეფასება 3/დამაკმაყოფილებელი/ პირობითად ჩაითვალოს მინიმალურ D 61 (დამაკმაყოფილებელი) შეფასებად;

გ) შეფასება „ჩაეთავალა“-ს გადაყვანა ხდება შემდეგი პრინციპით: 5 ბალიანი შეფასების სისტემით გამოცდებზე მიღებული შეფასებების 100-ქულიანი შეფასების სისტემაზე მოდიფიცირების შედეგად მიღებული ქულების საერთო ჯამი (შეკრებილი ციფრი), იყოფა ამ სასწავლო დისციპლინების რაოდენობაზე და მიღებული ციფრი ჩაითვლება „ჩათვლით“ დამთავრებული სასწავლო კურსის შეფასების ექვივალენტად;

10.7. პროგრამების თავსებადობა/შესაბამისობა ფორმდება შედარების აქტის/დასკვნის საფუძველზე გამოცემული რექტორის სამართლებრივი აქტით, რომელშიც მიეთითება სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა მიმღებ საგანმანათლებლო პროგრამასთან, ასევე აღიარებული/თავსებადი კრედიტების რაოდენობა, და საჭიროების შემთხვევაში, ინფორმაცია სტუდენტისათვის შეთავაზებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესახებ.

## **მუხლი 11. უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება**

11.1. უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კვალიფიკაციის ან უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება მისი შესაბამისობა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მინიჭებულ შესაბამის კვალიფიკაციასთან. შესაბამისობა სწავლის შედეგებსა და მინიჭებული კვალიფიკაციის გათვალისწინებით შეიძლება დადგინდეს მიუხედავად სწავლის პერიოდის განსხვავებისა.

11.2. უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ კვალიფიკაციას ან უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში მიღებულ განათლებას აღიარებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

11.3. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული აღიარების დოკუმენტის საფუძველზე სასწავლო უნივერსიტეტი იღებს შესაბამის გადანყვეტილებას სტუდენტის დაწესებულებაში ჩარიცხვის შესახებ.

11.4 უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დოკუმენტის მქონე აბიტურიენტის ან სტუდენტის სასწავლო უნივერსიტეტში ჩარიცხვის შესახებ გადანყვეტილებას სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული აღიარების დოკუმენტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ჩარიცხვაზე თანხმობის ბრძანების საფუძველზე იღებს რექტორი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## **მუხლი 12. დამატებითი სემესტრის აღება**

12.1. საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე სტუდენტს, რომელმაც საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ ვადებში ვერ მოიპოვა შესაბამისი აკადემიური ხარისხი, უფლება ეძლევა დაასრულოს სასწავლო პროგრამა მომდევნო სემესტრების განმავლობაში. სტუდენტისა ან/და უნივერსიტეტის მოტივირებული საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, უნივერსიტეტი უფლებამოსილია აკადემიური წლის განმავლობაში განსაზღვროს დამატებითი ზაფხულის სემესტრი, დაუშვებელია სტუდენტის წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 კრედიტს.

12.2. სტუდენტის დამატებითი სემესტრის სწავლის საფასური განისაზღვრება შესასწავლი სასწავლო კურსების კრედიტების მოცულობის იმ დროისათვის სასწავლო უნივერსიტეტში აღნიშნულ პროგრამაზე დაწესებული სწავლის საფასურის პროპორციულად.

## **მუხლი 13. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა**

13.1. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება შესაძლებელია:

- ა) იმ შემთხვევაში, თუ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე არ ირიცხება არც ერთი სტუდენტი;
- ბ) საგანმანათლებლო პროგრამა აღარ შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს;
- გ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

13.2 საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური საბჭო. პროგრამის გაუქმების შესახებ რექტორი გამოსცემს ბრძანებას.

13.3. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის მნიშვნელოვანია შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა. შესაბამისად, დაწესებულებაში არსებობს სტუდენტებისათვის სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა შეცვლილი ან გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების გათვალისწინებით;

13.4. დაწესებულებაში რეალიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების (მაგალითად, სასწავლო კურსის დამატება, გაუქმება, კრედიტების რაოდენობის ცვლილება და სხვა) შეტანის შემთხვევაში, აღიარება მოხდება კრედიტების თავსებადობის შესაბამისად.

13.5. დაწესებულებაში რეალიზებული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, სტუდენტთა ინტერესების დაცვისა და შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ვალდებულია შეისწავლოს გასაუქმებელი საგანმანათლებლო პროგრამის თავსებადობა მომიჯნავე/მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამასთან გაერთიანების ან ახალი საგანმანათლებლო პროგრამით ჩანაცვლების შესაძლებლობის საკითხი და შესაბამისი დასკვნა წარუდგინოს აკადემიურ საბჭოს.

13.6 საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ აკადემიური საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულება უფლებამოსილია:

ა) მისცეს მიმდინარე საფეხურის დასრულების შესაძლებლობა გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს. ამ შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის რეალიზაცია გადადის მიღვევად რეჟიმში, მიმდინარე საფეხურის დასრულებამდე.

ბ) შესთავაზოს სტუდენტებს მობილური და მოქნილი საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებშიც წარმოდგენილი იქნება ისეთი სასწავლო კურსები/მოდულები/თავისუფალი კომპონენტები, რომლებიც თავსებადი და რელევანტური იქნება სხვა პროგრამებზე გადასვლის შემთხვევაში და მოხდება მაქსიმალური რაოდენობის კრედიტების აღიარება;

გ) უზრუნველყოს სტუდენტების ინფორმირება სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ რეალიზებული რელევანტური საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ;

დ) გააცნოს სტუდენტს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მობილობის წესი, ვადები და პირობები.

#### **მუხლი 14. სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (სტუდენტის დატვირთვა)**

14.1. სასწავლო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო საქმიანობა წარიმართება ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემის შესაბამისად, რომელიც ეფუძნება სწავლის შედეგებისა და სასწავლო პროცესის გამჭვირვალობას. მისი მიზანია ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების დაგეგმვას, განხორციელებასა და შეფასებას,

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის/კომპონენტების, ცოდნის, უნარების და კომპეტენციების აღიარებას, ასევე სტუდენტთა მობილობის პროცესს.

14.2. სტუდენტთა საქმიანობის შესაფასებლად გამოიყენება კრედიტი – ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისთვის საჭირო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მისაღწევად. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში 1 კრედიტი (ECTS) უტოლდება სტუდენტის სასწავლო საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვას) 25 საათის განმავლობაში და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ საათებს.

14.3. სტუდენტის საქმიანობა (სტუდენტის დატვირთვა) მოიცავს:

ა) ლექციაზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას (სემინარულ მეცადინეობას), პრაქტიკულ ან ლაბორატორიულ მეცადინეობას;

ბ) დამოუკიდებელ მეცადინეობას;

გ) პრაქტიკას;

დ) გამოცდების მომზადება - ჩაბარებას;

ე) წერილობითი ნაშრომის: (რეფერატი, საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის) მომზადება-დაცვას.

14.4. სემესტრი არის დროის პერიოდი, რომელიც მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას, დამატებითი გამოცდის/გამოცდების ჩატარებისა და დამატებით გამოცდაზე/გამოცდებზე სტუდენტის მიღწევის შეფასების პერიოდს. საკრედიტო სისტემის შესაბამისად, სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტის დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში მოიცავს საშუალოდ 60 კრედიტს.

14.5 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს.

14.6 კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესით“ გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღებით, რაც მიიღწევა შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

## **მუხლი 15. სტუდენტის მიღწევების შეფასება**

15.1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

15.2. სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება პროგრამის თითოეულ კომპონენტში უნდა მოიცავდეს შუალედურ და დასკვნით შეფასებას. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტის განეული პრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:

- ა) შუალედურ შეფასებებს, რაც ითვალისწინებს შუალედურ გამოცდას/გამოცდებს და მიმდინარე სემესტრულ შეფასებებს;
- ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.
- 15.3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.
- 15.4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.
- 15.5. შეფასების სისტემა უმჯობეს:
- ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:
- ა.ა) (A) ფრიალი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;
- ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;
- ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:
- ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
- ბ.გ) საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, შემოქმედებითი/სამეცნიერო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის მიმართ.
- ბ.დ) სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა ოდენობა.
- ბ.ე) დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.
- ბ.ვ) დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0.
- 15.6. სასწავლო უნივერსიტეტი, როგორც შუალედური შეფასებისთვის ისე დასკვნითი გამოცდისათვის განსაზღვრავს მინიმალურ ზღვარს 30%+1 ქულის ოდენობით. დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები კონკრეტდება თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში. შუალედური შეფასება დაყოფილია კომპონენტებად: - აქტივობა (სამუშაო ჯგუფში მუშაობა/სემინარული/პრაქტიკული მეცადინეობა, რეფერატის მომზადება-პრეზენტაცია და სხვ..) და შუალედური გამოცდები, თითოეულს აქვთ თავისი პროცენტული წილი შეფასების სისტემაში;

15.7. 100 ბალიანი სისტემიდან შუასემსტრულ შეფასებებზე გადანაწილებულია მაქსიმუმ 60 ქულა, ხოლო შესაბამისად მაქსიმუმ 40 ქულა ეთმობა დასკვნით გამოცდას. შუასემსტრული კომპონენტებისთვის განსაზღვრული 60 ქულა ნაწილდება შუალედური შეფასებების მიხედვით. დასკვნითი გამოცდის ჩაბარება სავალდებულოა. დასკვნითი გამოცდა ტარდება წერით, ან ზეპირი ფორმით და მოიცავს შემდეგ მინიმუმ ერთ კომპონენტს: ტესტური დავალებები, თეორიული საკითხები, კაზუსის ამოხსნა, ღია კითხვები, ამოცანები და სხვა.

15.8 სტუდენტის დადებითი შეფასება განისაზღვრება შუალედური შეფასებებისა და დასკვნით გამოცდაში დადგენილი მინიმალური ზღვრების გადალახვის საფუძველზე მიღებული ქულების დაჯამებით და უნდა შეადგენდეს 51 ქულას ან მეტს.

15.9. კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასწავლო კურსის განმახორციელებელი განსაზღვრავს სასწავლო კურსის სილაბუსში შუალედური შეფასების ელემენტში შემავალი კომპონენტების შინაარსს, ხვედრით წილს, შეფასების კრიტერიუმებს. სასწავლო კურსის განმახორციელებელი არ იზღუდება სილაბუსში ჰქონდეს შეფასების განსხვავებული კომპონენტები და თავად განსაზღვროს მათი ხვედრითი წილი სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე.

15.10. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში, დასკვნითი გამოცდის გადაბარების ცხრილით განსაზღვრულ დროს.

## **მუხლი 16. სწავლა/სწავლების ფორმები და მეთოდები**

16.1. სასწავლო პროცესში გამოიყენება სწავლა/სწავლების შემდეგი ფორმები: ლექცია - სტუდენტებისადმი სისტემატურად და თანმიმდევრულად სასწავლო მასალის გადაცემა, განსახილველი თემის ან რაიმე საკითხის ახსნა-განმარტება. იგი აქტიურია, როცა იღებს დიალოგის სახეს, ხოლო პასიურია მონოლოგის ფორმით; ლექციის სახეები: ინტერაქტიული ლექცია, ლექცია-პრეზენტაცია.

პრაქტიკული მეცადინეობა/სამუშაო ჯგუფში მუშაობა - ლექციაზე განხილული საკითხების განხილვა-გაცნობიერება, პრაქტიკული სახის მაგალითების/ამოცანების განხილვა, ანალიზი და შეფასება სემინარული ტიპის თემატიკაზე, სალექციო კურსის შესაბამისად.

სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა - სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კურსების წარმატებით ათვისებისათვის დახარჯული სამუშაო დროის რაოდენობა, რომელიც მოიცავს ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის გაცნობას, შესწავლას, გაცნობიერებას ყოველდღიური დავალების შესრულებისას, შუალედური და დასკვნითი გამოცდების მომზადებისთვის.

პრაქტიკა - სასწავლო მეცადინეობის სახე, რომლის პროცესში სტუდენტები პრაქტიკის ხელმძღვანელის მითითებით დამოუკიდებლად ასრულებენ შესაბამისი სილაბუსით გათვალისწინებულ სანარმოო დავალებებს მოქმედ ორგანიზაციაში.

საბაკალავრო ნაშრომის შესრულება - სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად შესრულებული სამუშაო, მასში აისახება სწავლის პერიოდში შეძენილი პრაქტიკული და თეორიული ცოდნა. სამაგისტრო

ნაშრომის შესრულება - სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად შესრულებული სამუშაო, მასში აისახება სწავლის პერიოდში შეძენილი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს ჩატარების უნარი.

16.2. სწავლა-სწავლების მეთოდები:

ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი - გულისხმობს სალექციო მასალის გადაცემას სტუდენტისათვის ვერბალური გზით, რომლის დროსაც გამოიყენება კითხვა-პასუხის, ინტერაქტიული მუშაობის, პრაქტიკული სიტუაციის მოდელირების საფუძველზე თეორიული დებულებების ახსნის მეთოდები;

ახსნა-განმარტებითი მეთოდი - ეფუძნება მოცემული საკითხის ირგვლივ მსჯელობას. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში. აღნიშნული მეთოდების გამოყენებით ხდება სწავლების ინტენსიფიკაცია (აქტივიზაცია), რაც სტუდენტში ახდენს შემეცნებითი საქმიანობის განვითარებასა და სტიმულირებას, აჩვენებს მას იაზროვნოს პროფესიულად. აღნიშნული მეთოდების გამოყენება მიზნად ისახავს დაინტერესოს სტუდენტი, შემოქმედებითად აქტიური და დამოუკიდებელი გახადოს იგი ცოდნის მარაგის პროცესში და სხვ. დისკუსია - ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. თეორიული მასალის ფარგლებში საკვანძო საკითხების

განხილვა და პრაქტიკულ საქმიანობასთან კორელაცია. მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს. სტუდენტებს საშუალება ეძლევათ აქტიურად გამოხატონ მიღებული ცოდნა და ინტენსიურად ჩაერთონ ჯგუფში მუშაობის პროცესში, წარმოადგინონ მომზადებული პრეზენტაციები, განახორციელონ საკუთარი მოსაზრებების არგუმენტირებული დაცვა; პრეზენტაცია - ითვალისწინებს ქმედებაზე ორიენტირებულ სწავლებას, რის გამოც სტუდენტები ვალდებული არიან მოიძიონ რელევანტური მასალები წინასწარ მოცემულ საკითხებზე და წარმოადგინონ სლაიდ-შოუ. პრეზენტაციები შეუძლიათ

წარმოადგინონ როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად.

დემონსტრირების მეთოდი - გულისხმობს ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას და გვეხმარება თვალსაჩინო გაეხადოთ სასწავლო მასალის აღქმა. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით იგი ეფექტურია. შესაძლოა, მასალა ერთდროულად ელექტრო ტექნიკური და ვიზუალური გზით მიეწოდოს სტუდენტებს.

ჯგუფური მუშაობა - გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება, ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

კონკრეტული შემთხვევის ანალიზი - ლექტორი სტუდენტებთან ერთად განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, სტუდენტები აკეთებენ ანალიზს და წარმოადგენენ თავის დასკვნას. ინდივიდუალური მეთოდი - სწავლის პროცესში დახმარებას უწევს აზრის მსვლელობას კერძოდან (კონკრეტულიდან)



ფაქტებიდან და განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.

დედუქციური მეთოდი - ცოდნის გადაცემის ისეთი ხერხია, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის გამომჟღავნების ლოგიკური პროცესია, ანუ ზოგადიდან კონკრეტულსაკენ პროცესის მიმდინარეობის მართვაა.

ანალიზის მეთოდის - გამოყენებით სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილება კონკრეტული შემთხვევები, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხის მანამდე უცნობ მხარეებს. ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, რაც ამარტივებს დასმული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალურ გაშუქებას. ლექტორი სტუდენტებთან ერთად განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, სტუდენტები წარმოადგენენ პრობლემის გადაჭრის/მოგვარების ინდივიდუალურ გადაწყვეტილებას/დასკვნას.

წერიითი სამუშაო - შუალედური და საბოლოო გამოცდების დროს ხდება წერიითი ნამუშევრის შესრულება.

ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება - მოითხოვს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

რეფერატი - წერიითი ხასიათის სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომი, რომლის პრეზენტაციასაც აკეთებს სტუდენტი ჯგუფის წინაშე. რეფერატით უნდა გამოვლინდეს აპლიკანტის კვლევის ინტერესის სფერო, მისი აკადემიური დონე დარგობრივი სფეროს ფარგლებში და მეცნიერული კვლევის უნარი. მოსამზადებლად სტუდენტს დასჭირდება დამატებითი ლიტერატურის მოძიება, დამუშავება და წერილობითი სახით ჩამოყალიბება. ეს განუვითარებს მას სამეცნიერო ლიტერატურაზე მუშაობის, მისთვის საჭირო ინფორმაციის მოძიების, ლოგიკურად ჩამოყალიბებული თემის წერისა და მისი ეფექტური ფორმით პრეზენტაციის უნარს.

გონებრივი იერიშის - მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას, რაც გულისხმობს დავალების ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად შესაძლებელი (შესაძლოა რადიკალურად განსხვავებული) მოსაზრების, იდეის ჩამოყალიბებასა და პრეზენტაციას, კერძოდ: პრობლემის დასმა ან საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა; დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა; გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან; კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა; შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით; უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა; წიგნის დამუშავების მეთოდი; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) – აღნიშნული სასწავლო მეთოდი ახალი ცოდნის მიღებისა და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად პრობლემის დასმას იყენებს; თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება – სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის

უკეთ შესწავლაში; თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

ევრისტიკული მეთოდი – ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადანწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება; შემთხვევის ანალიზი (Case study) – პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს (მაგალითად, კაზუსს), რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს.

პრაქტიკული სავარჯიშოები (experiential exercises), რომლის შესრულების პროცესში სტუდენტი ახდენს თავისი მოქმედების მოდელირებას სხვადასხვა ასპექტებში.

პრაქტიკული მეთოდები – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს, აქ სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ აქტივობას.

მუშაობა მცირე ჯგუფში - ეს არის ერთ-ერთი პოპულარული სტრატეგია, რომელიც ყველა სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას მიიღოს მონაწილეობა მუშაობაში, განავითაროს თანამშრომლობისა და პიროვნებათაშორისი უნარები, კერძოდ, აქტიური მოსმენა, საერთო აზრის გამოხატვა, კონფლიქტური სიტუაციის მოგვარება. მცირე ჯგუფში მუშაობისათვის მთავარი წინაპირობაა, რომ სტუდენტი ფლობდეს გარკვეულ ცოდნასა და უნარებს, დავალებისათვის სტუდენტს ეძლევა საკმარისი დრო.

პროექტის შემუშავება-ეს მეთოდი საშუალებას აძლევს მონაწილეებს აზრობრივად გაცდნენ აუდიტორიის ფარგლებს და შეადგინონ თავისი მოქმედების პროექტი მოცემულ საკითხზე პრეზენტაციის სახით. უმთავრესია, რომ ჯგუფს ან ცალკეულ მონაწილეს ქონდეს შესაძლებლობა დაიცვას საკუთარი პროექტი, ხაზი გაუსვას მის უპირატესობებს და გაიგოს ჯგუფის სხვა წევრების აზრი. ამ მეთოდის გამოყენებისას ხდება ასევე სხვა მეთოდების გამოყენებაც, და სხვადასხვა ცოდნის, უნარების, ტექნიკის და ტექნოლოგიების ინტეგრირება. როლური და სიტუაციური თამაშები - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც სტუდენტს უყალიბებს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

სინთეზის მეთოდი - გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.

გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდი - რომლის მთავარი მიზანია წერიტი თარგმანისა და კითხვის სწავლა. გარკვეული გრამატიკული წესების ათვისებისათვის გამოიყენება სპეციალური ტექსტები და მიმდინარეობს მუშაობა ამ ტექსტებზე-სიტყვების დამახსოვრება, ორთოგრაფიისა და გრამატიკის შესწავლა.

აუდიო-ვიზუალური მეთოდი - გამოიყენება მხოლოდ უცხო ენა. ლექცია/პრაქტიკულ მეცადინეობებზე გამოიყენება ინფორმაციული ტექნოლოგიები, სლაიდები, პრეზენტაციები, სტუდენტები პასუხობენ კითხვებზე; ორჯერ მეორდება იგივე პროცესი, ლექტორი ამახვილებს

ყურადღებას საკვანძო სიტყვებზე, ხდება მათი ამოწერა დემონსტრირების მეთოდით დაფაზე. კომუნიკაციური სწავლების მეთოდი, რომელიც წარმოადგენს სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას და აერთიანებს ამ მიმართულებით ეფექტურ მრავალ სხვა მეთოდს, რომლებიც ასევე აქტიურად გამოიყენება ჩვენი სასწავლო კურსის სწავლებისას.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მონვეული პერსონალი დამოუკიდებლად ირჩევენ იმ მეთოდებს, რომელიც პასუხობს კურსის სწავლების სპეციფიკას და მითითებულია სილაბუსებში.

### **მუხლი 17. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევანის გამჭვირვალობა**

17.1. სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული არჩევანის გამჭვირვალობას. თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებული არჩევითი სასწავლო კურსების ჩამონათვალი და სტუდენტს შესაძლებლობა აქვს გაეცნოს მას დანესებულების ვებ-გვერდზე, სადაც განთავსებულია და ხელმისაწვდომია საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი).

17.2. სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას სემესტრის დანებისთანავე საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევითი სასწავლო კურსების შესახებ. სტუდენტს შეუძლია საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევითი/სავალდებულო სასწავლო კურსების გაცნობა და სარეგისტრაციო პერიოდში არჩევანის გაკეთება შესაბამის ფაკულტეტზე ელექტრონული მართვის სისტემის მეშვეობით.

### **მუხლი 18. აკადემიური წელი**

18.1 აკადემიური წელი არის სემესტრების ერთობლიობა და მათ შორის დასვენების პერიოდი, რაც არ აღემატება 12 უწყვეტ კალენდარულ თვეს. თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტში თითოეულ სემესტრში (21 კვირა) 15 კვირა ეთმობა სააუდიტორიო მეცადინეობებს; 2 კვირა შუალედურ გამოცდებს, 2 კვირა დასკვნით გამოცდებს და 2 კვირა დამატებითი გამოცდებისთვისაა გათვალისწინებული. სასწავლო კვირა არის დროის პერიოდი, რომელზეც ნაწილდება საშუალო აკადემიური მიღწევის მქონე სტუდენტის სასწავლო დატვირთვა და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ დროში შესასრულებელი აქტივობების ერთობლიობას.

18.2. სემესტრის ხანგრძლივობაში გათვალისწინებულია სააუდიტორიო მეცადინეობები, პრაქტიკული მეცადინეობები, პრაქტიკისა და საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისათვის განკუთვნილი დრო, შუალედური გამოცდა-გამოცდების, დასკვნითი გამოცდის ჩატარებისა და დამატებით გამოცდაზე გასვლის პერიოდი.

### **მუხლი 19. საგანმანათლებლო პროგრამა**

19.1. საგანმანათლებლო პროგრამაში მიერთება:

პროგრამის სახელწოდება; უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური; მისანიჭებელი კვალიფიკაცია; პროგრამის მოცულობა კრედიტებით; სწავლების ენა; საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი; პროგრამაზე დაშვების წინაპირობა; სწავლის შედეგი; სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები; სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა; სასწავლო გეგმა, სწავლების ორგანიზების თავისებურებების მითითებით; ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ.

19.2 პროგრამას ახლავს: სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები);

19.3. საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება დაწესებულების აკადემიური და მონვეული პერსონალის მიერ.

19.4. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელად ინიშნება დაწესებულების აკადემიური ან მონვეული პერსონალი.

19.5. სასწავლო კურსის პროგრამას (სილაბუსს) შეიმუშავებს შესაბამისი სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი.

19.6. სილაბუსში მიეთითება: სასწავლო კურსის სახელწოდება; კურსის განმახორციელებელი; სასწავლო კურსის მიზანი; კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად; დაშვების წინაპირობები; სწავლის შედეგები; სასწავლო კურსის შინაარსი (თემატიკა); სწავლების ფორმები; სწავლების/სწავლის მეთოდები; შეფასების წესი; ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა.

19.7. სასწავლო კურსის განმახორციელებელი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით არ იზღუდება შეიტანოს სილაბუსში დამატებითი პუნქტები ან განახორციელოს ცვლილებები, რითაც არ დაირღვევა წინამდებარე წესით სასწავლო კურსისთვის (სილაბუსისთვის) წაყენებული აუცილებელი პირობა.

19.8. სასწავლო უნივერსიტეტში პროგრამებს შეიმუშავებს პროგრამის ხელმძღვანელი და აკადემიური პერსონალი მონვეული პერსონალის ურთიერთთანამშრომლობით. პროგრამა განიხილება აკადემიურ საბჭოზე, რომლის დადებითი გადაწყვეტილების შემდგომ მტკიცდება სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის მიერ;

19.9 საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირება ხდება პროგრამის შემუშავებისთვის დადგენილი პროცედურებით.

## **მუხლი 20. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება**

20.1. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხორციელდება წელიწადში ერთხელ სასწავლო წლის ბოლოს;

20.2. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხორციელდება საუნივერსიტეტო სუბიექტების მიერ.

20.3. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფარგლებში ჩატარებული გამოკითხვა ატარებს ანონიმურ ხასიათს.

20.5. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების გამოკითხვას ატარებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, რომელიც გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამის გაუმჯობესების მიზნით.

#### **მუხლი 21. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება და კვალიფიკაციის მინიჭება**

21.1. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლის შესაბამისი საფეხურისთვის დადგენილი კრედიტების მოპოვების შემდეგ სტუდენტს, ფაკულტეტის დარგობრივი საბჭოს გადაწყვეტილებით ენიჭება პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია.

21.2. სასწავლო უნივერსიტეტის მიერ განათლების დამადასტურებელი დიპლომი გაიცემა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

21.3. დაწესებულება დიპლომთან ერთად გასცემს დიპლომის დანართს.

#### **თავი 22. საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოება**

22.1. სასწავლო უნივერსიტეტი ვალდებულია აწარმოოს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მოთხოვნილი „საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესის“ შესაბამისად.

#### **მუხლი 23. დასკვნითი დებულება**

23.2. წინამდებარე წესში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხდება რექტორის ბრძანებით.